ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 82

"29" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი №37-ის მიმდებარედ/ჭავჭავაძის ჩიხი №37-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.163) ააიპ - ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „მწვანე სახლისთვის" (ს/კ: №205270570) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის №07.54.295 დადგენილების დანართი 2-ით (საიჯარო პირობები) განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ -„ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი - მწვანე სახლის" (ს/კ: 205270570) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ'' ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი №37-ის მიმდებარედ/ჭავჭავაძის ჩიხი №37-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.163) ა(ა)იპ - ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „მწვანე სახლისთვის" (ს/კ: №205270570) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის №07.54.295 დადგენილების დანართი 2-ით (საიჯარო პირობები) განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის, 2018 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხული პირგასამტეხლოს - 9328 (ცხრა ათას სამას ოცდარვა) ლარის გადახდის ვალდებულებისაგან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლის" (ს/კ: 205270570) გათავისუფლებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის N19.227.294 განკარგულების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე